



2011 წელი, 27 იანვარი - 2 თებერვალი

ფასი 1 ლარი

ახალი ბანათლები

№2 (516) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

**გილოცავთ! ნინო და მისი მშობლები მოხიბულთა სწორისა,
ქართველთა განათლებელისა (IV)
(საქართველოში შემოსვლა, 323) ხსენების დღეს და ნინოებს**

წმინდა ნინოს ცხოვრება

სიტყვისა ღვთისა მსახურთა თანა მოსაგრეთ
და ანდრიას ქადაგებისა წარძარებთა,
ქართველთა განმანათლებლო და სულისა
წმინდისა ქნარო დედათ ნინო,
ეკლესიის ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად
სულთა ზეენათთვის.

კონდაკი

მოციქული ქრისტესაგან გამოჩენული,
ქადაგი სიტყვისა ღვთისა განსწავლული
მანაქებელი ცხოვრებისა, წინამძღვარი
ქართველთა ერისა გზათა სიძნელისათა დედასა
ღვთისა საკუთარი მოწაფე ნინო, შეკამკით
დღეს ყოველთა მნობითა სდამრთითა შეიხე
მხურვალე, მტკვლი დაუძინებელი.



წმინდა ნინო, ოშკის ბარელიეფი.
ნ. და მ. ტიერების ფოტო

ინფორმაცია პედაგოგებისთვის!

გამოცემის ეროვნული ცენტრი
სერტიფიცირებული პედაგოგებისათვის
ინგლისურისა და კომპიუტერის გამოცდას
აპრილში ჩაატარებს.

რეგისტრაცია იხარმონებს 10 თებერვლიდან
20 მარტამდე, საგანმანათლებლო რესურსცენტრებში.

გთავაზობთ ინფორმაციას გამოცდის შესახებ:

- ✓ ინგლისურისა და კომპიუტერის ინტეგრირებული ტესტის შინაარსობრივი და სტრუქტურული მახასიათებლები;
- ✓ დავალებების აღწერა;
- ✓ ტესტირების პროცესის აღწერილობა;
- ✓ ინგლისურისა და კომპიუტერის ინტეგრირებული ტესტის ნიმუში.


გვერდი 5-6

გკითხველთა საყურადღებოდ!

„ახალი განათლების“
შექმნა შესაძლებელია
„უაიდ დისტრიბუშენის“
პრესის გავრცელების
ჯიხურებში, თბილისსა
და საქართველოს
რეგიონებში.

„ახალი განათლების“
ხელმოწერის მსურველებმა
2011 წლის
ხელმოწერის თანხა
ერთი წლით - 40 ლარი
უნდა გადმორიცხონ
ჩვენს რეკვიზიტებზე:
საქართველოს ბანკის
ცენტრალური ფილიალი
ს/კ 202 058 735;
ბ/კ 220 101 502; ა/ა 123 631 000





პედაგოგთა სერტიფიკაცია

SPECIFICATIONS FOR A TEST IN ENGLISH AND COMPUTER

ინგლისურისა და კომპიუტერის ინტეგრირებული ტესტის შინაარსობრივი და სტრუქტურული მახასიათებლები

მასწავლებლებისთვის ინგლისურისა და კომპიუტერის ტესტი ინტეგრირებულია - დავალებები ისეა აგებული, რომ ერთდროულად მოწოდებდნენ როგორც ინგლისურის, ისე კომპიუტერის ცოდნას. კანდიდატი გამოცდას აბარებს კომპიუტერის საშუალებით. კანდიდატს მოეთხოვება, ინგლისურ ენაზე კითხვის უნარს ფლობდეს საშუალოზე დაბალ დონეზე (pre-intermediate level). ინგლისური ენის ცოდნის ეს დონე შეესაბამება ევროსაბჭოს მიერ დადგენილი უცხოური ენების ცოდნის A2+ დონეს და კემბრიჯის უნივერსიტეტის KET (Key English Test) გამოცდის დონეს.

ტესტის სტრუქტურა

Table with 6 columns: No, დავალების ინსტრუქცია, რა მოწოდება, საკითხების რაოდენობა, ქულა სწორი პასუხი, ქულათა მაქსიმუმი. It details the structure of the test across three sections.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 28. გამსვლელი ქულა - 20 (70%). ტესტის ხანგრძლივობაა 1 საათი და 30 წუთი.

დავალებების აღწერა

დავალბა 1

დავალბა ამოწმებს ინგლისური ტექსტის გააზრებისა და ინტერნეტში სხვადასხვა საძიებო სისტემის დახმარებით ნაკლები ინფორმაციის მოძიების უნარს. მოცემულია ინფორმაციული (მაგ., ბიოგრაფიული) ტექსტი, რომელშიც გამოტოვებულია 10 მონაცემი. კანდიდატს მოეთხოვება ნაკლები ინფორმაციის ინტერნეტში მოძიება და ტექსტის შევსება (ინგლისურ ენაზე).

დავალბა 2

დავალბა ამოწმებს ტექსტის გააზრების უნარს. მოცემულია მოკლე ტექსტი, რომელსაც ერთვის ექვსი შეკითხვა. კანდიდატს მოეთხოვება ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემა ინგლისურ, ქართულ ან რუსულ ენაზე.

დავალბა 3

დავალბა ამოწმებს მოცემულ ტექსტზე დაყრდნობით პრეზენტაციის მომზადების და დიაგრამების აგების უნარს. მოცემულია ტექსტი, რომელზე დაყრდნობით კანდიდატმა PowerPoint-ში უნდა მოამზადოს 4-სლაიდისანი პრეზენტაცია ინგლისურ, ქართულ ან რუსულ ენაზე. ერთ-ერთ სლაიდზე მოცემული უნდა იყოს დიაგრამა. დასრულებული პრეზენტაცია კანდიდატმა უნდა გადაიტანოს Word-ის ფაილში.

ტესტირების პროცესის აღწერილობა

კანდიდატი გაივლის რეგისტრაციას შესაბამისი რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრში. რეგისტრაციის შემდეგ ყოველი კანდიდატი მიიღებს საგამოცდო ბარათს. საგამოცდო ბარათზე მითითებულია საგამოცდო ცენტრი, გამოცდის ჩატარების თარიღი და დაწყების დრო. კანდიდატი ვალდებულია, დროულად გამოცხადდეს მითითებულ საგამოცდო ცენტრში, თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი საბუთი და საგამოცდო ბარათი.

საგამოცდო ცენტრში კანდიდატი ადგის დაიკავებს მისთვის საგანგებოდ მომზადებულ სამუშაო ადგილას, ჩართული კომპიუტერის წინ. კანდიდატს მოეთხოვება შევიდეს წინასწარ მითითებულ საიტზე და სპეციალურ ველში შეიყვანოს პირადობის მონომოზაში მითითებული 11-ნიშნა პირადი ნომერი. ჩამოტვირთოს ამ საიტის მისთვის განკუთვნილი Word-ის დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია რამდენიმე დავალბა. დავალბების შესრულება მოითხოვს კანდიდატსგან როგორც წინასწარმოწერი, ისე გარკვეული ტექნიკური დავალბების შესრულებას. ტექნიკური დავალბების შესასრულებლად კანდიდატს ესაჭიროება შემდეგი პროგრამების საბაზისო ცოდნა (გამომყენების დონეზე): Microsoft Office (Word, PowerPoint, Excel, Outlook) Windows 7 საოპერაციო სისტემაში.

დავალბების შესრულებისას კანდიდატს შეუძლია გამოიყენოს ინტერნეტში არსებული რესურსები: ლექსიკონები, საძიებო სისტემები და ა. შ.

დავალბების პასუხები უნდა ჩაინეროს მოცემულ ფაილში, იქვე გადატანილ უნდა იქნეს PowerPoint-ში მომზადებული პრეზენტაციის სლაიდები. ამის შემდეგ კანდიდატმა უნდა გახსნას მისთვის მომზადებული საფოსტო ყუთი და გააგზავნოს დანართის სახით ავტორიტული შევსებული ფაილი წინასწარ მიცემულ მისამართზე.

გათვალისწინეთ, რომ გასწორდება მხოლოდ დანართის სახით გაგზავნილი ფაილი! გამოცდა მხოლოდ მას შემდეგ ჩაითვლება დასრულებულად, როდესაც კანდიდატი მიიღებს ელექტრონული ფოსტით საპასუხო შეტყობინებას, რომ მისი წერილი წარმატებით მივიდა ადრესატამდე. ამ შეტყობინების მიღების შემდეგ კანდიდატი ტოვებს საგამოცდო ცენტრს.

AN INTEGRATED TEST IN ENGLISH AND COMPUTER

ინგლისურისა და კომპიუტერის ინტეგრირებული ტესტის ნიმუში

დავალბა 1

ნაიკითხეთ ტექსტი ისააკ ნიუტონის შესახებ და გამოტოვებული ადგილები შეავსეთ სათანადო ინფორმაციით (ინგლისურ ენაზე). ინფორმაცია მოიძიეთ ინტერნეტში. შეგიძლიათ გამოიყენოთ ელექტრონული ლექსიკონები და spell-check.

პასუხები დაწერეთ შრიფტით Times New Roman. გამოიყენეთ 11 ზომის ფონტი და ფუნქცია bold. საკითხების ნუმერაციას ნუ წაშლით.

სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით. დავალბების მაქსიმალური ქულაა 10.

A famous English mathematician, astronomer and natural philosopher Isaac Newton was born in the year of _____ (1) in the town called _____ (2). His father died early and his mother whose full name was _____ (3) brought him up. Newtons most important scientific book Philosophia Naturalis Principia Mathematica is usually called _____ (4). The book was published in the year of _____ (5).

Newton became a student of Cambridge University in the year of _____ (6). After graduation he stayed at Cambridge delivering lectures in mathematics. In Cambridge Newton was at the height of his scientific and creative power. In 1703 he was elected the President of the _____ (7) of London and later, in the year of _____ (8) he was knighted in Cambridge and given the title of Sir.

Newton died on the 31st of March in the year of _____ (9). He is buried in London, in the Cathedral called _____ (10).

დავალბა 2

წაკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ შეკითხვებს. პასუხები დაწერეთ ინგლისურ, ქართულ ან რუსულ ენაზე. შეგიძლიათ გამოიყენოთ ელექტრონული ლექსიკონები და spell-check.

თუ წერთ ინგლისურ ენაზე, გამოიყენეთ შრიფტი Arial, 11 ზომის ფონტი და ფუნქცია italics.

თუ წერთ ქართულ ენაზე, გამოიყენეთ შრიფტი Sylfaen, 11 ზომის ფონტი და ფუნქცია italics.

თუ წერთ რუსულ ენაზე, გამოიყენეთ შრიფტი Times New Roman, 11 ზომის ფონტი და ფუნქცია italics.

სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით. დავალბების მაქსიმალური ქულაა 6.

Communicative language teaching

A foreign language should be taught with the aim to use it in practice for communicative purposes. But this was not so until 1970s when the method of communicative language teaching was introduced and new textbooks started to be used in schools, especially in Britain and USA. The basic principle of the communicative language teaching is the idea that language should be taught to interact and communicate. In the communicative classroom students learn how to be able to use the knowledge for practical purposes, to communicate with people in different situations. The teachers role in a communicative classroom is to facilitate and not to instruct. The teacher has to stimulate and encourage the communicative process. This is achieved by playing different communicative games and using real-life or close-to-real-life situations and activities.

At a communicative lesson, a game should have its strict rules. Playing just to pass the time is not effective. Before the game starts, it is a good idea to write some useful words on the board. This 'signals' or helps the students to use the correct language. During a language game, the teacher must note down students' mistakes. The mistakes should be corrected and analysed after the game is over. It is very effective to classify the mistakes into vocabulary, grammar and pronunciation. mistakes. Classification of mistakes is also good for planning the following lessons. Language games should be enjoyable and motivating. They should encourage students to participate in the activity and interact in a foreign language.

As for the communicative textbooks, they should first of all have games or activities which stimulate communication and pupil interaction. Teachers are recommended to use realia, which means authentic, from-life materials, such as, for example, real maps, street signs, magazines, advertisements, newspaper articles, etc.

- 1. When was the method of communicative language teaching introduced?
2. What is the role of a teacher in a communicative classroom?
3. Does a game in a communicative methodology have any rules?
4. Why is it important to write some words on the board?
5. According to the communicative methodology, when should a teacher correct the mistakes?
6. What does 'realia' mean?

დავალბა 3

თქვენი სკოლა გეგმავს კონფერენციის ჩატარებას მასწავლებლებისათვის. თქვენ დაგეგვალთ, კოლეგებს გააცნოთ ერთ-ერთი კვლევის შედეგები. გსურთ, რომ პრეზენტაცია PowerPoint-ში გააკეთოთ და ამისათვის სათანადოდ ემზადდებით.


წაკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი და მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მოამზადეთ 4-სლაიდისანი პრეზენტაცია PowerPoint-ში. გაითვალისწინეთ, რომ სამ სლაიდზე უნდა იყოს ტექსტი, ხოლო ერთ სლაიდზე - დიაგრამა (chart) თქვენთვის მოსახერხებელ ფორმატში.

პრეზენტაცია დაწერეთ ინგლისურ, ქართულ ან რუსულ ენაზე. ფუნქციები გამოიყენეთ შეხედულებისამებრ.

მას შემდეგ, რაც პრეზენტაცია მზად გქვნებათ, მონაცემები გადაიტანეთ word-ის ფაილის 2 გვერდზე (2 სლაიდი ერთ გვერდზე).

დავალბების მაქსიმალური ქულაა 12.

In spring 2010 a group of specialist from the university of Tallinn, Department of Education, conducted a research on the level of knowledge in mathematics, biology and world literature. The research was conducted in 89 schools from both urban and rural areas of Estonia. The schools which were selected for the research were the state schools only, i.e. the schools fund-



კვლევითი სარტიფიკაცია

ed by the state budget. The schools were selected by the university in cooperation with the teachers union. The research was funded by the World Bank. The Ministry of Education of Estonia was not involved in the school selection process, though they had been informed about the research in advance.

The focus group was exclusively the 9th grade students, age 14-15. This is the age when students finish the secondary education and get prepared for high school. The number of students who took part in the research was 673. Equal number of boys and girls participated in the research. They had to complete competence tests in the three above-mentioned subjects. Each subject test had one hundred items. The items were of different difficulty: easy, moderately difficult, difficult and very difficult. The test was computer based and strictly time limited. Testing of the students took only two weeks but analyzing the tests results and preparing the final report took three months.

The results of the tests showed that 363 students (54 %) received 7 points and above, out of 10 points maximum, in World literature; 182 students (27%) received 7 points and above in biology, again out of 10 points maximum and only 128 students (19%) received 7 points and above in mathematics. The results of the research showed that 9th graders of the state schools are best prepared in World literature, and - worst prepared in mathematics.

At present the specialists from the University of Tallinn, are preparing recommendations for the Ministry of Education of Estonia for an updated curricula in mathematics, biology and World literature. In agreement with the Ministry of education, similar research will be conducted in all school subjects in the near future.

AN INTEGRATED TEST IN ENGLISH AND COMPUTER ინგლისურისა და კომპიუტერის ინტეგრირებული ტესტი

პასუხები

ინგლისურისა და კომპიუტერის ინტეგრირებული ტესტის ნიმუშის პასუხები

დავლება 1

თითოეული სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით. მაქსიმალური ქულაა 10.

1. 1642/1643 (ძველი/ახალი სტილი); 2. Woolsthorpe; 3. Hannah Ayscough; 4. (the) Principia; 5. 1687; 6. 1661; 7. Royal Society; 8. 1705; 9. 1727; 10. (the) Westminster Abbey.

დავლება 2

თითოეული სწორი პასუხი ფასდება 2 ქულით: 1 - ენა, 1 - ტექნიკური მოთხოვნები. მაქსიმალური ქულაა 10.

(ქვემოთ მოცემული პასუხების ნიმუშები; მისაღება ყველა პასუხი, რომელიც იმავე აზრს შეიცავს, მაგრამ სხვაგვარად არის ფორმულირებული)

1. ენის სწავლების კომუნიკაციური მეთოდი შემოვიდა/დაინერგა 1970 წელს.
2. მასწავლებლის როლი ენის კომუნიკაციური სწავლებისას არის „ფასილიტატორი“ და არა ინსტრუქციის მიცემა.
3. დიახ, თამაშს კომუნიკაციურ მეთოდიკაში თავისი წესები აქვს.
4. სიტყვების დაფაზე დაწერა ეხმარება მოსწავლეებს ენის სწორად გამოყენებაში.
5. კომუნიკაციური მეთოდიკის მიხედვით, მასწავლებელმა შეცდომები თამაშის დასრულების შემდეგ უნდა გაასწოროს.
6. „რეალია“ ნიშნავს ავთენტურ, ცხოვრებისეულ მასალას, როგორცაა მაგ., ნამდვილი რუკები, გაზეთები...

დავლება 3

დავლების მაქსიმალური ქულაა 12 (6 - შინაარსობრივ მხარეში და 6 - ტექნიკურში).

შეფასების სქემა

ქულა	შინაარსი	ტექნიკა	ქულა
5-6	1. სლაიდებზე მოცემული ინფორმაცია ზუსტია/ტექსტის შესატყვისია. 2. ინფორმაცია ლაკონურადაა გადმოცემული. არ არის მექანიკურად გადმოტანილი ნაწილები ტექსტიდან. 3. ყოველ სლაიდს აქვს ძირითადი თემა/სათაური. 4. მოცემულია ტექსტის (კვლევის) ძირითადი მიზანი. 5. მოცემულია ფაქტობრივი მასალა (მაგ., ვინ აწარმოა კვლევა, როდის? რამდენი კაცი მონაწილეობდა და ა.შ.). 6. დიაგრამა (graph ან chart) შინაარსობრივად ზუსტად ასახავს ტექსტში მოცემულ მონაცემებს.	1. პრეზენტაცია შესრულებულია PowerPoint-ში. 2. ტექსტი კარგად იკითხება. 3. სათაურები დაწერილია შედარებით დიდი შრიფტით, ვიდრე წინადადებები. 4. ტექსტურ ფაილებში გამოყენებულია შრიფტის სხვადასხვა ფუნქცია: italics, bold, etc. და ფერები. 5. ერთ გვერდზე მოცემულია დიაგრამა (graph ან chart) ნებისმიერი ადეკვატური ფორმით. 6. დიაგრამა გრაფიკულად ზუსტად ასახავს ტექსტში მოცემულ ფაქტობრივ და სტატისტიკურ მასალას.	5-6
3-4	პრეზენტაცია სრულად აკმაყოფილებს 5-6 შეფასებაში მოტანილ 3 კრიტერიუმს ან არასრულად - 4-ს.	პრეზენტაცია სრულად აკმაყოფილებს 5-6 შეფასებაში მოტანილ 3 კრიტერიუმს ან არასრულად - 4-ს.	3-4
2-1	პრეზენტაცია აკმაყოფილებს 5-6 შეფასებაში მოტანილ 2 კრიტერიუმს ან არასრულად - 3-ს.	პრეზენტაცია აკმაყოფილებს 5-6 შეფასებაში მოტანილ 2 კრიტერიუმს ან არასრულად - 3-ს.	2-1
0	პრეზენტაცია არ აკმაყოფილებს 5-6 შეფასებაში მოტანილ არც ერთ კრიტერიუმს, ან სუსტად აკმაყოფილებს მხოლოდ 1-ს.	პრეზენტაცია არ აკმაყოფილებს 5-6 შეფასებაში მოტანილ არც ერთ კრიტერიუმს, ან სუსტად აკმაყოფილებს მხოლოდ 1-ს.	0

მოვამზადეთ მასწავლებელთა სასარტიფიკაციო გამოცდებისათვის

მასალა დაწყებითი კლასების მასწავლებლებს

ტექსტის გააზრების არალინგვისტური ხერხების გამოყენება საბუნებისმეტყველო საკითხების სწავლებისას დაწყებით კლასებში

საყოველთაოდ ცნობილია კითხვის სტრატეგიები და მეთოდები, მაგრამ ისინი ტექსტის გააზრების ერთადერთი საშუალება არ არის. მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება მიზნად ისახავს სხვადასხვა ხასიათის ტექსტების გასაზრებლად საჭირო არალინგვისტური ხერხების დიდ რეპერტუარს.

პირველ რიგში, განვიხილოთ კოგნიტური განვითარების თეორიები, კოგნიტური სქემები და მათი პრაქტიკულად გამოყენების მაგალითები ინტერაქტივისას.

შვეიცარიელი ფსიქოლოგის ჟან პიაჟეს (1896-1980) თეორიისათვის ამოსავალია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ განვითარების პროცესში ბავშვი უზრალოდ კი არ რეაგირებს გარემოს ზეგავლენაზე, არამედ აქტიურად მოქმედებს და იძენს ცოდნასა და უნარ-ჩვევებს გარემოსთან შეგუების პროცესში. ბავშვის მიერ სამყაროს შემეცნება ვითარდება არა მხოლოდ ცოდნის დაგროვების თვალსაზრისით, არამედ თვისებრივად იცვლება თვით შემეცნების პროცესიც. ბავშვის მიერ აღქმული სამყარო განსხვავდება მოზრდილის მიერ აღქმული სამყაროსაგან.

პიაჟეს მიხედვით, ინფორმაციის გადამუშავება შემეცნებითი სტრუქტურების — სქემების საშუალებით ხდება.

სქემები არის ინფორმაციის მიღების, შენახვის, გარდაქმნის შინაგანად არსებული ჩარჩოები.

სქემები იცვლება ბავშვის განვითარებასთან და ცოდნის დაგროვებასთან ერთად. თუ ბავშვის მიერ მიღებული ინფორმაცია შესაბამეა მის შემეცნებით სტრუქტურებს (სქემებს), მაშინ ხდება ბავშვის მიერ ამ ინფორმაციის გაგება, ანუ **ასიმილაცია**.

თუ ინფორმაცია არ შეესაბამება სქემებს, მაშინ ინფორმაციის გაგება ვერ ხერხდება. იმ შემთხვევაში, თუ შემეცნებითი სტრუქტურა მომნიშვნელოა შესაცვლელად, მაშინ იგი გადაეწყობა ახალი ინფორმაციის შესაბამისად, ანუ განხორციელდება **აკომოდაცია**.

ამგვარად, ასიმილაცია ახალი გამოცდილების გააზრება არსებულ შემეცნებით სტრუქტურებზე დაყრდნობით, ხოლო აკომოდაცია - არსებული შემეცნებითი სტრუქტურების გარდაქმნა ახალი და ძველი ცოდნის გაერთიანების მიზნით.

ასლიმილაციისა და აკომოდაციის მაგალითი:

- ❖ მცირეწლოვანი ბავშვი იქმნის წარმოდგენას, რომ ყველაფერი, რაც დაფრინავს, არის ჩიტი. როდესაც ბავშვი პირველად ხედავს თვითმფრინავს, მას ჩიტი ეძახის. ამ დროს, ის იყენებს ასიმილაციას, ანუ დაუქვემდებარებს თვითმფრინავს მისთვის ნაცნობ სქემას, რომ ყველაფერი, რაც დაფრინავს, არის ჩიტი.
- ❖ შემდეგ უკვე ხედავს, რომ თვითმფრინავი არ არის ჩიტი და იგონებს მისთვის ახალ სახელს.

ამ დროს, ბავშვი იყენებს აკომოდაციის შესაძლებლობას და ქმნის ახალ სქემას, სადაც ჩიტი და თვითმფრინავი სხვადასხვა რამეა.

ასიმილაციის და **აკომოდაციის** ურთიერთქმედება თვალსაჩინოს ხდის შემეცნების კონსტრუქტივისტული მიდგომის სისწორეს. კერძოდ, ყოველი ბავშვი ერთსა და იმავე ინფორმაციაზე სხვადასხვაგვარად მუშაობს, რადგან განსხვავებულ შემეცნებით სტრუქტურაში კრავს ინფორმაციას. ამას პიაჟე ბავშვის მიერ სამყაროს შესახებ ცოდნის აგება-კონსტრუქციას უწოდებს.

ასიმილაციის, აკომოდაციისა და კონსტრუქციის პროცესი დაბადებიდან ცხოვრების ბოლომდე გრძელდება. ყოველი ახალი კონსტრუქცია შემეცნებით სისტემას უფრო მოქნილსა და ძლიერს ხდის.

პიაჟეს თეორიის მიხედვით, სწავლების ძირითადი პრინციპებია:

- 1. შემეცნებითი აზროვნების განვითარების შესაბამისად,** ბავშვებს უნდა მივანოდოთ რეალური სამყაროს აღქმის შესაბამისი საშუალებები;
- 2. შემეცნებითი აზროვნების განვითარება ხდება ისეთი** სავარჯიშოების ან სიტუაციების საშუალებით, რომლებიც ხელს უწყობს ბავშვების აქტიურად ჩართვას სასწავლო პროცესში და მოითხოვს ადაპტაციას (ასიმილაცია, აკომოდაცია);

- 3. სასწავლო მასალები და სავარჯიშოები უნდა მოიცავდნენ:**
მხოლოდ ისეთ მოტორულ და გონებრივ ოპერაციებს, რომლებიც ბავშვებს შემეცნებითი აზროვნების განვითარების გარკვეულ ეტაპზე სჭირდებათ. ამიტომ უშედეგოა ისეთი დავალებების მიცემა, რომლებიც მოსწავლის გონებრივ შესაძლებლობებს აღემატება. **სწავლებისადმი კონსტრუქტივისტული მიდგომა** - ამ მიდგომის მიხედვით, ადამიანები სწავლობენ აზროვნებისა და გამოცდილების საფუძველზე, რის შედეგადაც უფრო რთული შემეცნებითი უნარები უფითარდებათ. აქედან გამომდინარე, კონსტრუქტივისტული ორიენტირებულია მოსწავლის ძალისხმევაზე.
მოსწავლე სწავლის (ან შემეცნების) პროცესის აქტიური მონაწილეა. პასიურად კი არ ისრუტავს ინფორმაციას, რომელიც მოწოდებულია მასწავლებლის მიერ, არამედ **მწყობრად აშენებს** საკუთარ ცოდნას მისთვის უკვე ცნობილისა და წინა გამოცდილებების საფუძველზე. აშენების პროცესში მასწავლებელი ისევე ეხმარება მოსწავლეს, როგორც ხარაჩოები — მშენებელს.
ხარაჩოების ფუნქციას ასრულებს მასწავლებლის მიერ შემუშავებული აქტივობები, მასწავლებლის მიერ შექმნილი გარემო და სასწავლო სიტუაციები, რომელშიც მოსწავლე დამოუკიდებლად აგებს საკუთარ ცოდნას.

მოვამართო მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის

კონსტრუქტივისტული მიდგომები: პიაჟეს შემეცნებითი აზროვნების თეორია და ბრუნერის თეორია; შემეცნებითი ფსიქოლოგიისა და კონსტრუქტივისტის თეორიებმა დიდი როლი შეასრულა აქტიური სწავლების დანერგვის საქმეში დასავლეთის ქვეყნებში. ამ მიდგომის თანახმად, მოსწავლეს სწავლაში აქტიური და დამოუკიდებელი როლი ენიჭება.

ტექსტის გააზრებისას კონსტრუქტივისტული სქემები ხშირად ხარაზობის ფუნქციას წარმოადგენს... კონსტრუქტივისტული სქემების გამოყენება სასწავლო პროცესში სქემებით სასწავლო პროცესის დატვირთვა მოსწავლეებს დასამუშავებელ მასალაში მოწოდებული მნიშვნელოვანი ინფორმაციის აღქმაში ეხმარება. სქემებით მუშაობისას მოსწავლეებს ხელთ ეძლევათ ტექსტის კონტროლის მექანიზმი, რომელიც ნაწილისა და მთელის, კონცეპტისა და დეტალების ურთიერთმიმართებების დადგენასა და ვიზუალურად დანახვაში უწყობს მათ ხელს. ამიტომაც ხშირად ამ სქემებს კონსტრუქტივისტული დიაგრამების უწოდებენ.

კონსტრუქტივისტული სქემების გამოყენების არეალი:

- 1. გამოიყენება ახალი მასალის გაცნობის დროს;
2. შემაჯამებელი სამუშაოების ჩატარებისას;
3. ტექსტის კითხვისას;
4. საშინაო და საკლასო სამუშაოებისას;
5. ტექსტის დამუშავებისას.

რაში ეხმარება კონსტრუქტივისტული სქემები მოსწავლეებს?

- ინფორმაციის მწკობრად ორგანიზებაში;
ინფორმაციის გაანალიზებაში;
უეითარებს ვიზუალურ აღქმას;
უეითარებს კრიტიკულ აზროვნებას.

რაში ეხმარება კონსტრუქტივისტული სქემები მასწავლებლებს?

- კონსტრუქტივისტული სქემების გამოყენებისას მასწავლებელი მოსწავლეებს საშუალებას აძლევს გააანალიზონ წინარე ცოდნა
კონსტრუქტივისტული სქემების გამოყენებით ხსნის ახალ მასალას
ზედმიწვევითი კონკრეტულობით აჯამებინებს მოსწავლეებს ათვისებულ მასალას
ეხმარება პედაგოგს მოსწავლეს შეუქმნას ისეთი სასწავლო გარემო, როდესაც ის აანალიზებს მოვლენას
ეხმარება პედაგოგს მოსწავლის პროგრესის, მისი აკადემიური მოსწრების აღნუსხვასა და შეფასებაში.

გთავაზობთ ინფორმაციას რამდენიმე კონსტრუქტივისტული სქემაზე; რა მიზნით შეიძლება გამოიყენოს მასწავლებელმა და რაში ეხმარება მოსწავლეს ეს კონსტრუქტივისტული სქემა?

Table with 3 columns: კონსტრუქტივისტული სქემის დასახელება, რა მიზნით იყენებს მასწავლებელი?, რაში ეხმარება მოსწავლეს?

წინაშე მოსწავლეს წარმატებულად შეუძლია წაკითხული ტექსტის დამუშავება და გააზრება კონსტრუქტივისტული სქემების გამოყენებით. მაგალითისათვის გთავაზობთ ტექსტს, რომელიც IV კლასის ბუნებისმცოდნეობის მასწავლებელმა დასამუშავებლად მისცა მოსწავლეთა ჯგუფებს. თითოეულმა ჯგუფმა ეს პატარა ტექსტი სხვადასხვა კონსტრუქტივისტული სქემის გამოყენებით დაამუშავა:

დასამუშავებელი ტექსტი

უცხოელი მოგზაურები ერთ ნასოფლარს მიადგნენ. ნასოფლარს კარგად ეტყობოდა მეწყერისა და ღვარცოფის კვალი. ოდესღაც ამაყად მდგომი სახლები მიწის ნაპრალებს შთაინთქა და აქა-იქ სახლის სახურავებიცა მოჩანდა. უცხოელ მოგზაურებს ადგილობრივი მონადირე შეხვდა. მან მოკლედ უამბო ტურისტებს ნასოფლარის ისტორია.

...ეს ადგილია მდიდარი იყო წყაროს წყლებით. ხშირი წვიმების დროს ფერდობებიდან მიწა ცვიოდა. XIX-ში მომხდარმა მიწისძვრამ წვიმით გაჯერებული მიწა ფერდობიდან მოწყვიტა და მეწყერი წარმოქმნა, რომელმაც სოფლის ჩრდ. ერთი უბნის 10 სახლი თავის ეზოებთანად მთლიანად დასავლეთით მდებარე ხევში ჩაიტანა. XX ს-ის 20-იან წლებში სოფლის თავზე ტყე გაჩეხეს და ერთ წვიმიან გაზაფხულზე ჩრდ.-აღმ. ერთ-ერთი ფერდობი დაიმეწყრა; მეწყერმა 15 სახლი შთანთქა.

ახლა ამ მდინარეს შეხედეთ, ის სათავეს აღმოსავლეთით ხოკის მყინვარიდან იღებს და სამხრეთ დასავლეთით მიედინება. XX ს-ის 70-იან წლებში მყინვარის გვერდით მთაზე ვულკანმა გაიღვიძა და მყინვარი სწრაფად დაადნო. ამან მდინარე საოცრად აადიდა და მოვარდნილმა ღვარცოფმა სულ გაანადგურა სოფელში დარჩენილი 20 სახლი. ხალხმა ძლივს მოასწრო გახიზვნა. ასეთია ამ სოფლის ისტორია...

ჯგუფი 1

დავალბა: წაკითხეთ ტექსტი და ტექსტის მიხედვით შეავსეთ ქვემოთ მოცემული სქემა

Table with 3 columns: მოვლენა, მოვლენის გამომწვევი მიზეზი, შედეგი

ჯგუფი 2

დავალბა: ტექსტის მიხედვით შეავსეთ ქვემოთ მოცემული დროის დიაგრამა ისე, რომ დასახელებულ თარიღს მიუყვართ რა მოხდა ამ დროს

Table with 2 columns: XX ს-ის 70-იანი, XX ს-ის 20-იანი, XIX, როდის?, გაღვიძებულმა ვულკანმა დაადნო მყინვარი და ღვარცოფმა გაანადგურა სახლები.


ჯგუფი 3

დავალბა: წაკითხეთ ტექსტი და ტექსტის მიხედვით შეავსეთ ქვემოთ მოცემული სქემა - მოვლენათა ჯაჭვი

Table with 4 columns: მოვლენა №1, მოვლენა №2, მოვლენა №3, შედეგი

ჯგუფი 4

ტექსტის მიხედვით შეადგინეთ სვეტოვანი დიაგრამა. თითოეული სვეტი დაშტრიხეთ განაღვურებული სახლების მიხედვით



სახლების რაოდენობა

არანაკლებ მნიშვნელოვანია დაწვებით კლასებში ბუნებისმცოდნეობაში სხვადასხვა აღწერითი ტექსტების გასაზრებლად გამოყენებული იყოს ისეთი არალინგვისტური ხერხები, როგორიცაა:

- 1. პროცესის მოდელირება;
2. სტრუქტურის მოდელირება;
3. კინესტეტიკური აქტივობა.

რათა წინაშე მოსწავლეს წარმატებულად შეეძლოს წაკითხული ტექსტის მიხედვით პროცესის ან სტრუქტურის მოდელირება.

გთავაზობთ ერთ-ერთ სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამის თემებზე შექმნილ ტექსტს, რომელშიც ასახულია პროცესები და სტრუქტურები, რომელთა მოდელირება შესაძლებელია.

თემა - გეოგრაფიული ობიექტები

ტექსტი

დღემიწაზე ბევრ უცნაურ ზღვას შეხვდები. ერთ-ერთი ვერცხვითი მკვდარი ზღვაა. მასში დიდი ხანია თევზები, ლიფსიტები, ზღვის სხვა ცხოველები და მცენარეები განაღვურდნენ. ეს როგორ მოხდა? ზღვამ დაძაბუნა და იწყო და მარილის მომატებამ ცოცხალი ორგანიზმების განაღვურება გამოიწვია, თუმც ბევრი უცნაური თვისება შესძინა. ერთ-ერთი არის ის, რომ მასში ყველა ცოცხალი ორგანიზმი ტივტივებს... მათ შორის ადამიანიც. ამ ზღვაზე ხშირად იპოვი დამსვენებელს, რომელიც ზურგზე დაწოლილი და თან გახეთს კითხულობს.

იყო დრო როდესაც ქვიშით და ქვებით მოფენილ ზღვის ფსკერზე უამრავი წყალმცენარე ცხოვრობდა, რომლითაც თევზები იკვებებოდნენ. მათ მიერ გამოყოფილი უვარგისი ნივთიერებებით კი ზღვის ლოკოინები იკვებებოდნენ და წყალი სულ სუფთა იყო.

ა) ტექსტის მიხედვით პროცესის მოდელირება


Table with 2 columns: პროცესის აღწერა, პროცესის მოდელირება

ბ) ტექსტის მიხედვით სტრუქტურის მოდელირება

Table with 2 columns: სტრუქტურის აღწერა, სტრუქტურის მოდელირება

მოვამადლოთ მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის

ა) კინესტეტიკური აქტივობა



აქტივობის მიზანი:
მოსწავლე საკუთარი შეგრძნების ან დაკვირვების შედეგად მიღებულ შთაბეჭდილებას გამოხატავს სხვადასხვა საშუალებებით (კინესტეტიკურად/პანტომიმით).

აქტივობა 1
მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ წიგნში მოცემულ მცენარეებს, კონკრეტულად კი, მათი ტოტების მიმართულებას და პანტომიმის გამოყენებით განასახიერონ. შეხედეთ პირველი ხის სილუეტებს და ხელების მოძრაობით შეეცადეთ გამოხატოთ 1, 2 და 3 ხეების ტოტების მიმართულება.

მოსწავლეები დგებიან ფეხზე და ხელებს ტოტების მიმართულებით ამოძრავებენ. ვისაც შეეშლება, მასწავლებელი სთხოვს, დააკვირდეს იმავე ხეს და მისი შეგრძნების ხელების მიმართულებას.

ზემოთ მოყვანილია მაგალითი, როდესაც მოსწავლის აღქმის ცენტრაცია ხდება სურათებზე და ძალიან მნიშვნელოვანია იმავე კინესტეტიკური აქტივობების შესრულება, როდესაც გასააზრებელია აღწერილობითი ხასიათის ტექსტები.

ტესტი

1. პიაჟეს მიხედვით, როგორ ხდება იფორმაციის გადამუშავება?

- I. სქემებით;
- II. შემეცნებით;
- III. აღქმით.

შემოხაზეთ:

- ა. I;
- ბ. II;
- გ. III.

2. რა არის შემეცნებითი სქემები?

- I. ის, რითაც ხდება შემეცნება;
- II. ინფორმაციის მიღების, შენახვის, გარდაქმნის, შინაგანად არსებული ჩარჩოები;
- III. აღქმითი დიაგრამები.

შემოხაზეთ:

- ა. I;
- ბ. II;
- გ. III.

3. რა ემართება ძველ სქემებს მოსწავლის მიერ ახალი ინფორმაციის, ახალი მასალის გაგებისას?

შეუსაბამეთ:

I. სქემები იცვლება ბავშვის განვითარებასთან და ცოდნის დაგროვებასთან ერთად. თუ ბავშვის მიერ მიღებული ინფორმაცია შეესაბამება მის შემეცნებით სტრუქტურებს (სქემებს), მაშინ ხდება ბავშვის მიერ ამ ინფორმაციის გაგება ანუ	ა. აკომოდაცია
II. თუ ინფორმაცია არ შეესაბამება სქემებს, მაშინ ინფორმაციის გაგება ვერ ხერხდება. იმ შემთხვევაში, თუ შემეცნებითი სტრუქტურა მომნიშვნელოვანია შესაცვლელად, მაშინ იგი გადაეწყობა ახალი ინფორმაციის შესაბამისად, ანუ განხორციელდება	ბ. ასიმილაცია

4. რა პერიოდში აღწევს სრულყოფილებას ასიმილაციის, აკომოდაციის და კონსტრუქციის პროცესები?

- I. 11 წლამდე;
- II. 18 წლამდე;
- III. სიცოცხლის ბოლომდე;
- IV. 25 წლამდე.

შემოხაზეთ:

- ა. I;
- ბ. II;
- გ. III;
- დ. IV.

5. რაში ეხმარება კოგნიტიური სქემები მოსწავლეებს?

- I. ეხმარება ინფორმაციის მწკობრად ორგანიზებაში;
- II. ეხმარება ინფორმაციის გაანალიზებაში;
- III. უფრო ადვილად ვიზუალურ აღქმას;
- IV. უფრო ადვილად კრიტიკულ აზროვნებას;
- V. ეხმარება წერის და კითხვის ტექნიკის სრულყოფაში.

შემოხაზეთ:

- ა. I II III IV
- ბ. I II IV V

6. ჩამოთვალეთ, აღწერითი ხასიათის ტექსტის გასააზრებლად რა მნიშვნელობა აქვს პროცესის მოდელირებას. აღწერეთ ერთი აქტივობა, რომელიც რომელიმე პროცესის მოდელირებაზე ორიენტირებულია.

ჩამოთვალეთ:

აღწერეთ აქტივობა:

7. ჩამოთვალეთ, აღწერითი ხასიათის ტექსტის გასააზრებლად რა მნიშვნელობა აქვს სტრუქტურების მოდელირებას. აღწერეთ ერთი აქტივობა რომელიც რომელიმე სტრუქტურის მოდელირებაზე ორიენტირებულია.

ჩამოთვალეთ:

აღწერეთ აქტივობა:

მანანა ბოჭორიშვილი,
ზაირა ბესტავაშვილი,
ნანა გაბისონია,
მაია ცინაძე

იტალიური სკოლა „ცისკარი“
 მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სასკოლო ცენტრი და
 საბუნებისმეტყველო კათედრა

ინფორმაცია



ტექნიკური დარგების განვითარებისა და სკოლებში საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების დონის ამაღლების მიზნით, 2011 წლის მარტის ბოლომდე, 450 ლაბორატორია 150 სკოლაში გადანიშნა, ხოლო ახალი სასწავლო წლიდან ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის თანამედროვე ლაბორატორიებით ყველა სკოლა ეტაპობრივად აღიჭურვება. პროგრამა „აინშტაინის“ განხორციელება, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, 2010 წლის 26 ოქტომბრიდან მიმდინარეობს.

სკოლების ლაბორატორიებით აღჭურვის პარალელურად, მიმდინარეობს მასწავლებლების გადამზადების პროცესი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის მასწავლებლებს ტრენინგი ჩაუტარდა.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ტრენინგებმა მასწავლებლებს თანამედროვე ლაბორატორიის შესაძლებლობები გააცნო. იგი სამი სრული კომპლექტისაგან შედგება. თითოეულში, საგნის (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) მიხედვით, 18 ქვეკომპლექტია გაერთიანებული.

თანამედროვე ხელსაწყოები და აპარატურა პედაგოგებს დაეხმარება უფრო საინტერესო და სახალისო გახადონ საბუნებისმეტყველო დისციპლინების სწავლების პროცესი. უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი ლაბორატორიები ხელს შეუწყობს მოსწავლეთა კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარებას.

ტრენინგს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **დიმიტრი შაშკინი** დაესწრო. მისი განცხადებით, მიმდინარე სასწავლო წელს პროგრამა „აინშტაინის“ ფარგლებში, საჯარო სკოლები საერთაშორისო სტანდარტების თანამედროვე ლაბორატორიებით აღიჭურვება. ამ მხრივ, აუცილებელია, პედაგოგების გადამზადება და მათთვის ლაბორატორიების გამოყენების სწავლება.

პრეზიდენტის ინიციატივით, ახალი ლაბორატორიების გამოყენებით სხვადასხვა კონკურსები ჩატარდება. საუკეთესო გამოგონების ავტორი მოსწავლეები ნახალისდებიან.

შესაბამისი ინფრასტრუქტურის დანერგვის პარალელურად, საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებს ტრენინგები მთელი საქართველოს მასშტაბით განხორციელდება.

სპორტი

ჩრდილო ოსეთის ნაკრები თბილისში



წინა კვირას საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის ეროვნულმა დარბაზმა 20 წლამდე ახალგაზრდების საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა...

პოლიტიკური ვითარების გამო, დღეს რუსეთისა თუ მის ცალკეულ რეგიონებთან საქართველოს კონტაქტები თითქმის შეწყვეტილია...

რაც შეეხება ტურნირის სპორტულ მხარეს, მასპინძლებმა რაპირაში იყოჩაღეს - გოგობშიც და ბიჭებშიც ყველა მედალი მათ დარჩა...

ამავე სახეობაში ბიჭებში თბილისელმა არჩილ უგულავამ თანაქალაქელი ლუკა ლაღანიძე დაამარცხა - 15:10 და ჩემპიონი გახდა...

დაშნით მოფარიკავე გოგობში ვლადიკავკაზლებმა იყოჩაღეს - ჩემპიონი დინა ხოდოვა გახდა, ვერცხლი ელიზავეტა ხასცავეამ მოიპოვა...

აქ ბიჭების შერკინებაც მათი უპირატესობით წარიმართა, ოღონდ ოსური იდილია აზერბაიჯანელმა ქენან ალიევამ დაარღვია...

პროკურატურა

ახალგაზრდების სამსახურში

გასულ შაბათ-კვირას გორში ახალგაზრდა ძიუდოისტთა საინტერესო ტურნირი ჩატარდა - შიდა ქართლის ლია პირველობა...

ეს ტურნირი საკმაოდ წარმომადგენლობითი გამოდგა - 100-მდე მოზარდი მონაწილეობდა, თუმცა მათი უმეტესობა მჩაგე ნონებზე მოდიოდა...

წინითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ხაშურელი გიგა ხვედელიძე (55), ქარელელი ლაშა გიუნაშვილი (60)...

მძლეოსნთა გაყინული პირველობა

ამ დღეებში დიდუბის მძლეოსნობის მანეჟმა დედაქალაქის პირველობას უმასპინძლა მძლეოსნობაში 1994-97 წლებში დაბადებულ მოზარდთა შორის...


პრეზიდენტი უფრო მეტ მონაწილეზე კი ლაპარაკობს, მაგრამ მათი რაოდენობა არც ახლა იყო მცირე - შეჯიბრებაში 200-მდე მოზარდი მონაწილეობდა...

არახელსაყრელი პირობების და სეზონის პირველი შეჯიბრების კვალობაზე, დამამძიმებელი იყო შედეგებიც. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი თბილისელმა გიორგი აზარაშვილმა...

გიორგი აზარაშვილს არც თბილისელი ნესტან დათუნაშვილი ჩამორჩა, რომელმაც ასევე სამი ოქრო ირგუნა - 60-მეტრიან სპრინტში (8,3) და 60-იან თარჯებში (10,8)...

საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი ახვლედიანის განმარტებით, მან უკვე დაუკვეთა დიდუბის მანეჟის სარემონტო სამუშაოები და იქ 18 თვის განმავლობაში ყველაფერი ნესტანში უნდა იყოს...

სეზონის ახალგაზრდა ჩრეულები



გასული წლის მინურულს სპორტული სეზონის რჩეულები, ტრადიციულად დაასახელა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ...

სუცივილი და ჭრიკივილი შარშან ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონებიც გახდნენ და მსოფლიოსიც. ამასთან, შინაურ სარბიელზე სუცივილია ქვეყნის პირველობაც მოიგო...

რუბრიკას უძღვება ირაკლი თავაძე

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტატილაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba

რედაქციის რეკვიზიტები:
საქართველოს ბანკი
ბ/კ 220101502,
ს/კ 202058735,
ა/ა 123631000